"112"-ის ფურცლები...

№3

ნოემბერი
2013

რედაქტორი დავით ჭანტურია

ნომერზე მუშაობდნენ: თეა გზირიშვილი, ნინო მიქაუტაძე, ნატალია გელაშვილი,

სალომე გელუტაშვილი, ჰენრიეტა ელიაური, თეო გაგოშიძე

დიზაინი თეა კუპრაძე

"გამოცდილების გაზიარება საქმიანობის პრიორიტეტულ ასპექტებზე" გვ.4-5

შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლების ვიზიტი ჩეხეთში გვ.6-7

საგანგებო ზარების ისტორიული რუკა გვ.8

"სომალიში შემოიღეს ახალი საგანგებო ნომერი - 888 გვ.8-9

"112" - მედია და სოციალურ სივრცეში გვ.10-11

112-ელის გვერდი გვ.12-13

"112" პროექტში - " სამოქალაქო ცნობიერების ამაღლება მოსწავლეებში" გვ.14-15

სხვა ჯუთხით დანახული 112-ელები გვ.16

გვ.17 ეს საინტერესოა...

გვ.18 ბელგიელმა მეხანძრეებმა პოლიციელები წყლით და ქაფით "გაწუწეს"

გვ.19 "112" ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში

გვ.20-21 ზოდიაქოები "112"-ში

გვ.22 სტატისტიკა, მილოცვები

გვ.23 ფოტოკონკურსი

საერთაშორისო კონფერენცია "გამოცდილების გაზიარება საქმიანობის პრიორიტეტულ ასპექტებზე"

2013 წლის 25-26 ნოემბერს, სასტუმრო "Holiday Inn"-ში, გაიმართა კონფერენცია თემაზე - "გამოცდილების გაზიარება საქმიანობის პრიორიტეტულ ასპექტებზე". ევროკავშირის წევრი და არაწევრი ქვეყნების საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურების ხელმძღვანელმა პირებმა ქართველ კოლეგებს საკუთარი გამოცდილება გაუზიარეს. კონფერენციის ძირითადი თემები იყო: ზარის ინიციატორის ადგილმდებარეობის განსაზღვრა, ერთდონიანი დისპეტჩერიზაცია და ცრუ ზარების პრევენციის საკითხები. კონფერენციის ფარგლებში სტუმრებმა მოინახულეს გადაუდებელი დახმარების ოპერატიული მართვის ცენტრი - "112" და სამუშაო პროცესს ადგილზე გაეცნენ. ასევე, საერთაშორისო კონფერენციის მონაწილეებმა საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტის სამაშველო მომზადებისა და რეაგირების სამმართველოს ბაზა დაათვალიერეს და საჩვენებელ ღონისძიებას დაესწრნენ.



სტუმრებმა დადებითად შეაფასეს საქართველოში საგანგებო სიტუაციების მართვის კუთხით არსებული სიტუაცია და სამსახურის წარმომადგენლებს დამატებითი რეკომენდაციები მისცეს.

კონფერენციას საპატიო სტუმრის სტატუსით ესწრებოდა ევროპის საგანგებო ნომრის ასოციაციის (EENA) მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე დემეტრიოს პიროსი. ღონისძიებაში მონაწილეობდნენ ფინეთის, რუმინეთის, ესპანეთის, პოლონეთის, სლოვაკეთის, ხორვატიის, იტალიის, აზერბაიჯანის, მოლდოვისა და უკრაინის ანალოგიური უწყებების მაღალი თანამდებობის პირები. ასევე, მოწვეულ სტუმართა შორის იყვნენ საქართველოს შსს-ს ხელმძღვანელი პირები, "112"-ის მომიჯნავე სამსახურების და დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები.

კონფერენცია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს "112"-ის დეპარტამენტის ინიციატივით, ტექნიკური დახმარებისა და ინფორმაციის გაცვლის ინსტრუმენტის (TAIEX)-ის ხელშეწყობით და ევროკომისიის მხარდაჭერით ჩატარდა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლების ვიზიტი ჩეხეთში

2013 წლის 21-25 ოქტომბერს, შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლები ოფიციალური ვიზიტით ჩეხეთში იმყოფებოდნენ. დელეგაციის შემადგენლობაში იყო "112"-ის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე თეა გზირიშვილი, რომელიც საგანგებო სიტუაციების მართვის სფეროში არსებული მდგომარეობით დაინტერესდა. პრაღაში ვიზიტი გაცნობითი ხასიათის გახლდათ და ორ ქვეყანას შორის თანამშრომლობის გაღრმავებას, ინფორმაციის გაცვლასა და გამოცდილების გაზიარებას ისახავდა მიზნად. ვიზიტის ფარგლებში, ქართულ დელეგაციას შეხვდა ჩეხეთის შს მინისტრის პირველი მოადგილე, ლუბომირ მეტნარი. მასპინძელი მხარის მიერ წარმოდგენილ იქნა პრეზენტაციები ჩეხეთის შსს-ს სხვადასხვა დეპარტამენტის საქმიანობის შესახებ, სადაც ქართული მხარე გაეცნო ჩეხეთის შსს-ს სტრუქტურას, შედგა ვიზიტები სამინისტროს სხვადასხვა ქვედანაყოფში, მათ შორის "112"-ის რეგიონალურ ცენტრსა და პრაღის სახანძროს სათაო ცენტრში.

აღსანიშნავია, რომ ჩეხეთში მოქმედებს გადაუდებელი დახმარების მართვის ცენტრის - ურთიერთდამოკიდებული მართვის მოდელი. ეს გულისხმობს, რომ ოპერატი-

ული მართვის ცენტრები გადანაწილებულია ეკონომიკური ზონის ან რეგიონალური დაყოფის პრინციპით. ჩეხეთში არის 14 რეგიონი და შესაბამისად, 14 რეგიონალური ცენტრი ფუნქციონირებს.

"აღნიშნული მოდელი არ ითვალისწინებს ტერიტორიულ შეზღუდვას და ზარის მიღება შესაძლებელია მთელი ქვეყნის მასშტაბით არსებულ ნებისმიერ ცენტრში. ზარი შედის თავისუფალ ცენტრში და შემდეგ ხდება მისი გადამისამართება ტერიტორიულობის პრინციპიდან გამომდინარე. აღნიშნული მოდელი, საკმაოდ განსხვავდება საქართველოში არსებული “112“-ის მოდელისგან, თუმცა მუშაობის ეს პრინციპი ძალიან საინტერესო აღმოჩნდა ჩემთვის"- განაცხადა თეა გზირიშვილმა.

ვიზიტის ფარგლებში, "112"-ის დირექტორის მოადგილე ვისოჩინას სახანძრო ოპერატიულ ცენტრსაც ესტუმრა: - "აღნიშნული ცენტრი საკმაოდ პატარაა, სულ მუშაობს 32 ოპერატორი, ცვლაში 16 ადამიანი. ზარები შემოდის, როგორც 112-დან ასევე, სახანძრო ნომრიდან -150 -დან. ადგილზე გავეცანი მუშაობის სტილს, ზარების მიღების პროცესს და მინდა ავღნიშნო, რომ ცენტრი ძალიან ეფექტურად მუშაობს".

"112" ჩეხეთში 2004 წელს შეიქმნა. ევროპის ერთიან საგანგებო ნომერ -112-თან პარალელურად მოქმედებს გადაუდებელი დახმარების ოთხი სხვადასხვა ნომერი. ესენია: სახანძრო - 150, სამაშველო-სასწრაფო -155, დედაქალაქის პოლიცია - 156, პოლიცია - 158.

საგანგებო ზარების ისტორიული რუკა

ქ. რენოში (ნევადა, აშშ) REMSA (პარამედიკოსთა სასწრაფო დახმარების სამსახური) სადისპეტჩერო საშუალოდ დღე-ღამის განმავლობაში 190 ზარს ღებულობს და არცერთი ზარი არ გავს ერთმანეთს. ყოველი ზარი განსაკუთრებულ მიდგომას მოითხოვს. სადისპეტჩეროს ოპერატორები ძალიან ემადლიერებიან Deployment Monitor System-ას, რომელიც შემოსული ზარების ისტორიული სტატისტიკის რუკის საფუძველზე მუშაობს. სისტემას გააჩნია სპეციალური რუქა, რომელიც ამინდის პროგნოზის რუკას ჰგავს. ყველაზე გამუქებული ის ადგილებია, საიდანაც ყველაზე ხშირად შემოდის ზარები და შესაბამისად სასწრაფო დახმარების ბრიგადებიც ამ ადგილებთან ახლოს არინ მობილიზებულები.

ეს სიტემა 2005 წლიდან მოქმედებს და განიცდის განახლებას ყოველ საათში ერთხელ. ეს სიტემა ეხმარება დისპეტჩერებს მაქსიმალურად ოპერატიულად გაუკვალონ მარშრუტი ბრიგადას დანიშნულების ადგილამდე

სომალიში შემოიღეს ახალი საგანგებო ნომერი - 888

ბოლო 20 წლის მანძილზე პირველად სომალის დედაქალაქ მოგადიშოში შემოღებულ იქნა პოლიციის საგანგებო ნომერი.

მოქალაქეებს შეეძლებათ აკრიფონ საგანგებო ნომერი - 888, პოლიცია მყისიერად მოახდენს რეაგირებას და გაგზავნის ეკიპაჟს დანიშნულების ადგილზე.

სომალის პოლიციის პრეს-სპიკერმა მოჰამედ იუსუფ მადალემ BBC-ის კორესპონდენტს განუცხადა, რომ ეს არის საეთაშორისო დონორების დახმარებით განხორციელებული პროექტი, რომელიც ხელს უწყობს ქვეყნის პოლიციის სისტემურ რეფორმას, ასევე დაეხმარება პოლიციურ ძალებს ისლამისტ მებრძოლებთან ბრძოლის საკითხში.

გაეროს მანდატით მოქმედი აფრიკის კავშირის სამხედრო ძალების ხელშეწყობით ისლამისტური დაჯგუფება ალ-შაბაბის მებრძლები გაყვანილ იქნენ ქვეყნის ყველა დიდი ქალაქიდან, თუმცა ისინი ჯერ კიდევ აკონტროლებენ ქვეყნის მცირე დასახლებულ პუნქტებსა და სოფლებს. ასევე, პერიდულად ანხოციელებენ თავდასხმებს დედაქალაქზე.

პოლიცია აღიჭურვა სპეციალური ავტომობილებით და სხვა საჭირო ინვენტარით.

1991 წლის სახელმწიფო გადატრიალების დროს სომალიში არსებობდა სამი სხვადასხვა ნომერი - პოლიციის, სახაძრო და სასწრაფო სამედიცინო დახმარების. ამასთან, დაფარვის ზონა არ მოიცავდა ქვეყნის მთელ ტერიტორიას.

სამოქალაქო ომის დროს ნომერი 888 ეკუთვნოდა კერძო კომპანიას, თუმცა პოლიციის მოთხოვის საფუძველზე გადაწყდა, არსებული ნომერი გადაცემოდა სახელმწიფო სტრუქტურებს.

"112" - მედია და სოციალურ სივრცეში

ჟურნალის "112-ის დროით" გასული ნომრის მთავარი თემა გახლდათ ახალი პროდუქტის - უსაფრთხოების დეტექტორების პრეზენტაცია. სწორედ ამ თემით დაიტვირთა მედია და სოციალური სივრცე "112"-ის აქტივიზაციით, რაც პირველ ეტაპზე, სერვისის პოპულარიზაციის მიზნით ეფექტური გზა იყო.

ტელეკომპანია "რუსთავი 2"-ის "სხვა შუადღის"-ის ეთერი მიეძღვნა "112"-ის ახალ სერვისს, სადაც "112"-ის დირექტორმა გიორგი ბიჭაშვილმა და დირექტორის მოადგილემ თეა გზირიშვილმა მოსახლეობას დეტალურად განუმარტეს ახალი სერვისის მახასიათებლები და უპირატესობები.

"112"-ის მუშაობის და "უსაფრთხოების დეტექტორები"-ის შესახებ მოსახლეობას ინფორმაცია მოაწოდა ასევე ტელეკომპანია GDS-მა გადაცემაში "მიxერი".

უსაფრთხოების დეტექტორების შესახებ, ახალი ამბავი განთავსდა შემდეგ საინფორმაციო საშუალებებში: TV იმედი, საზოგადოებრივი მაუწყებელი, მაესტრო, ერთსულოვნება, პალიტრა TV, საინფორმაციო სააგენტოების ვებ გვერდებზე და სხვადასხვა რადიო მაუწყებლობებზე.

"112"-ის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური აქტიურად თანამშრომლობს სხვადასხვა რადიოსთან. საზოგადოებრივი რადიოს "ღია სტუდიის" და "პირველი სამედიცინო რადიოს" ეთერში იმყოფებოდნენ "112"-ის დირექტორის მოადგილე თეა გზირიშვილი და ამავე სამსახურის ოპერატიული მართვის სამსახურის ხელმძღვანელი შორენა შუბითიძე. საუბარი შეეხო "112"-ის მუშაობის სპეციფიკას და უსაფრთხოების ახალი სისტემების დანერგვას საქართველოში.

თეა გზირიშვილმა რადიო მსმენელს რეკომენდაციის სახით მიაწოდა ინფორმაცია, თუ რა შეთხვევაში უნდა ისარგებლონ "112"-ის მომსახურებით და მადლობა გადაუხადა გადაუდებელი დახმარების ოპერატიული მართვის ცენტრის ოპერატორ/დისპეტჩერებს მოქალაქეებისათვის დროული დახმარების გაწევისათვის.

შეგახსენებთ, რომ 2013 წლის 22 ოქტომბერს, სასტუმრო "რადისონ ბლუ ივერიაში", გადაუდებელი დახმარების ოპერატიული მართვის ცენტრმა ახალი სერვისის - სახანძრო უსაფრთხოების სისტემების პრეზენტაცია გამართა და მოსახლეობას EN 54-ით სტანდარტიზირებული სახანძრო უსაფრთხოების სისტემები შესთავაზა.

აღნიშნული მომსახურების მიზანია მხუთავი აირის და ხანძრის კერის წარმოქმნისთანავე საფრთხის პრევენცია ფატალური შედეგების დადგომამდე.

ლიკა თუმანიშვილი
შსს სსიპ "112"-ის დისპეტჩერი

***

ნურაფერს მკითხავ, ვიფიქრო ჩემთვის,
გულს მივცე სრულის თავისუფლება,
ახლა ნუ მკთხავ, ოდესმე გეტყვი,
ეს ოცნებები თუ ასრულდება;
თუკი გავარღვევ დუმილის ზღუდეს,
თავს თუ დავაღწევ კაეშნის მორევს,
ახლა ნუ მკითხავ, თუნდ ძლიერ გსურდეს,
მერე, როდესაც სიმშვიდეს ვპოვებ, ოდესმე გეტყვი, არ დაგიმალავ,
ყველაფერს გეტყვი, ყველაფერს მოგწერ, გეტყვი თუ როგორ ძლიერ მიყვარხარ!

***

თოვდა და თოვდა, საოცრად თოვდა,
ისევ ითოვებს ალბათ . . .
მე რომ მიყვარხარ, ეს სიყვარული,
განმეორდება კვლავაც?!
თოვდა და თოვდა, ვარდისფრად თოვდა,
ხეებს ათოვდა წყნარად,
მე ყველაფერი დამვიწყებოდა,
შენზე ვფიქრობდი კვლავაც.
ღამე იწვოდა თოვლის ფიფქებში,
ღამეს გაუჩნდა ფარდა,
მე ხელის თრთოლვით ვიჭერდი ფიფქებს,
შენ გიგზავნიდი მათაც;
შუაღამისას მე არ მეძინა
თოვლის ფიფქების დარად,
რა ცაოცარი იყო ეს ღამე,
მე რომ დავიპყრე წყნარად. . .
თოვდა და თოვდა ისე ლამაზად,
მე შენ მიყვარდი კვლავაც!

საუბარი ორეულთან

(ჩანახატი)

ადამიანები, ალბათ, ყველაზე გულწრფელნი საკუთარ თავთან, საკუთარ მე-სთან უნდა იყვნენ. ვფიქრობ, რომ ყველაზე მეტად შენი ორეული გაგიგებს - დაგამ-შვიდებს. აგაღელვებს, გაგაჯიუტებს და საერთოდ, ყველაფერს შეგაძლებინებს... ამას უბრალოდ კი არ ვამბობ, არამედ მინდა კიდევ ერთხელ ვისაუბრო ჩემს ორეულთან გაუზვიადებლად...

როგორი ვარ მე? - ღიმილით ვეკითხები ჩემს ორეულს - უბრალო ხარ, ძალიან უბრალო; - ნუთუ შენც ასე ფიქრობ? - ვეკითხები მე. საშინლად უცნაურიც ხარ - გა-ნაგრძობს ორეული - ზოგჯერ კაცი ვერ მიხვდება - რა გინდა, თუმცა, ადამიანები ძალიან ადვილად გიგებენ და აღნიშნავენ, რომ უცნაური ხარ! რატომ? - არ ვიცი, როგორ გითხრა; საზოგადოებაში იმყოფები, იცინი, მხიარულობ, ასე მგონია, შენზე ბედნიერი არვინაა და უცებ, ყველაფერი ქრება შენში - სიცილიც, ხალისიც და ხდები ფერმკთალი, დაღონებული, შეწუხებული... ვეღარავინ ახერხებს შენს გამხიარულებას. ალბათ, ეს სიჯიუტეცაა. დიახ, ჯიუტი ხარ, შენს თავში დაჯერებული; თუმცა, ბევრჯერ არ გამოგდის ის, რისი გაკეთებაც შენ გინდა, მაგრამ ნებისყოფა და ამტანობა გაქვს, მომავლის იმედი და ბოლოს, ხშირად იმარჯვებ ხოლმე...

მარტოობაც გიყვარს - მეუბნება ორეული, ზოგჯერ არც ჩემთან გსურს საუბარი, მებუტები და შენთვის რას ფიქრობ, მეც ვერ ვხვდები. ვიცი, რომ გიყვარს ფიქრი, რამდენი ღამე შენთან ერთად გამიტარებია უძილოდ - აგრძელებს ორეული. შენს ფიქრებში ჩაფლული, ვერც კი ამჩნევ, რომ დასვენება მჭირდება. არადა, მე ხომ შენში ვარ გამიჯნული, ჩემზე მეტად ვერავინ გაგიგებს და მეც ვითმენ.

ნერვიული ხარ, საშინელი ნერვიული, მაგრამ, იცი რატომ ნერვიულობ?! - იმიტომ, რომ ყველაფრის ძალა არ შეგწევს და ყველაფერი ისე არ არის, როგორც შენ გინდა... თუმცა, მე ვიცი და ვგრძნობ, რომ შენ ბედნიერი იქნები, რადგან უბრალო ხარ, გიყვარს მეგობრები, პოეზია, ოცნება, სიმღერა და გაქვს სილამაზის და სიყვარულის შეგრძნების უნარი !"

"112" პროექტში - " სამოქალაქო ცნობიერების ამაღლება მოსწავლეებში"

2013 წლის 13 ოქტომბერს, შინაგან საქმეთა სამინისტროს "112"-ის წარმომადგენლები დუშეთის N1 საჯარო სკოლას ესტუმრნენ. პროექტში - "სამოქალაქო ცნობიერების ამაღლება მოსწავლეებში" ჩართულ IX-X კლასის მოსწავლეებს მიეწოდათ ინფორმაცია გადაუდებელი დახმარების ოპერატიული მართვის ცენტრის შესახებ.
მოზარდები ტრეინინგზე გაეცნენ " 112"-ის მუშაობის სპეციფიკას. განემარტათ, თუ რა არის გადაუდებელი შემთხვევა, რა დროს უნდა დარეკონ " 112"-ზე და რა შედეგებს იწვევს "112"-ზე განხორციელებული ცრუ ზარები. ასევე, მათ მიეცათ რეკომენდაციები, თუ როგორ უნდა ითანამშრომლონ "112"-ის ზარის მიმღებთან, რათა შესაძლებელი გახდეს ოპერატიული დახმარების აღმოჩენა. ბავშვებმა "112"-ის წარმომადგენლებისგან პირადად მიიღეს მათთვის საინტერესო ყველა კითხვაზე პასუხი და სამახსოვრო საჩუქრებიც გადაეცათ.
სასწავლო პროექტი გულისხმობს სამოქალაქო განათლებისა და ცნობიერების ამაღ-

ლებას მოსწავლეებში. პროექტის ფარგლებში, გარდა ტრენინგებისა, "112"-ის წარმომადგენლებმა განახორციელეს შემეცნებით-ინტელექტუალური ღონისძიებები და მოხალისეობრივი აქტივობები.

პროექტი ხორციელდება "Joint Civic Education"-ის ეგიდით. "Joint Civic Education" მოქმედებს "Robert Bosch Stiftung" -ისა და გაერთიანება „MitOst"-ის პროგრამა „Theodor-Heuss-Kolleg"-ის ინიციატივის ფარგლებში.

მალიკო ჯეჯელია

შსს სსიპ "112"-ის ზარის მიმღები

დაიბადა 1986 წლის 29 დეკემბერს, ქალაქ თბილისში. დაამთავრა 23 საშუალო სკოლა. სკოლის დამთავრების შემდგომ, ჩააბარა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ ტექნიკურ ფაკულტეტზე, ტელე-კინო-რეჟისურის განხრით. ცეკვავდა ქართულ ნაციონალურ ანსამბლში "სუხიშვილები". 14-15 წლიდან დაიწყო ხატვა, ქარგვა, ქსოვა, ძერწვა, ხელნაკეთი ნივთების კეთება. 17 წლის ასაკიდან მალიკო ფოტოგრაფიამ გაიტაცა. მისთვის არც სპორტია უცხო - საუკეთესო მოცურავეა. ყოველივე ამასთან ერთად მალიკო რადიო FM -106.4-ის წამყვანიც გახლდათ. ამ პერიოდში მუშაობდა თიხაზე, ქარგავდა, აკეთებდა ხელნაკეთ ბროშებს და შემდგომ თავის ნამუშევრებს ყიდდა. ყავს მეუღლე და ორი შვილი. სამწუხაროდ, დროის უქონლობის გამო ვეღარ ახერხებს დაკავდეს საკუთარი გატაცებით და შექმნას ახალი ნამუშევრები. მაგრამ, ეს ყველაფერი მაინც მის საყვარელ საქმიანობად რჩება.

შოტლადიური წარმოშობის ინგლისელი მწერალი არტურ კონან დოილი 1876-დან 1881 წლამდე მუშაობდა ექიმად ბირმინჰემსა და შეფილდში.

გაერთიანებული სამეფოს პრემიერ მინისტრის სერ რობერტ პილის, რომელიც პრემიერ მინისტრად არჩევამდე იყო შინაგან საქმეთა მინისტრი, დიდ დამსახურებად ითვლება პოლიციის სტრუქტურის ჩამოყალიბება. სწორედ ამ დამსახურების გამო პოლიციელებს ინგლისში დღემდე მეტსახელად "bobbies" ეძახიან, რაც მის სახელს უკავშირდება, რადგან სახელი რობერტის შემოკლებული ფორმაა - "bobby".

გერმანული კლასიკური ლიტერატურის უდიდესი წარმომადგენელი ფრიდრიხ შილერი 1773 წლიდან სწავლობდა მედიცინას კარსშულეს შტუტგარტის ელიტარურ სამხედრო აკადემიაში, ხოლო 1780 წლიდან მუშაობდა შტუტგარტის ლეგიონის ექიმად.

ბელგიელმა მეხანძრეებმა პოლიციელები წყლით და ქაფით "გაწუწეს"

ბელგიის სახანძრო სამსახურის უცნაურად გამოხატული პროტესტი. სახანძრო სამსახურის თანამშრომლების პროტესტი და აღშფოთება მათთვის დაფინანსების შემცირებამ გამოიწვია. მეხანძრეებმა უკმაყოფილება გამოთქვეს სამუშაო პირობების არაკომფორტულობასთან დაკავშირებით.

სახანძრო სამსახური გაიფიცა და მორიგე ჯგუფების გარდა ყველა ქუჩაში გამოვიდა პროტესტის გამოსახატად. ბუნებრივია, გაფიცულებს წესრიგის დამცველებმა გადაუღობეს გზა, რათა ქაოსი და უმართავი სიტუაცია არ შექმნილიყო. მეხანძრეებმა კი საქმეში სახანძრო ტექნიკა ჩართეს და პოლიციელები სპეციალური სახანძრო ქაფით "გაწუწეს".

საოცარია, მაგრამ წესრიგის დამცველებს ერთი ნაბიჯითაც არ დაუხევიათ უკან და მათი მხრიდან კანონსაწინააღმდეგო ქმედებებსაც არ ჰქონია ადგილი.

"112" ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში

შსს სსიპ "112"-ის წარმომადგენლებმა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის 3 ათას პირველკურსელს, საქართველოში მოქმედი გადაუდებელი დახმარების ერთიანი ნომრის შესახებ დეტალური ინფორმაცია მიაწოდეს.

ორი კვირის განმავლობაში სტუდენტები, პრეზენტაციის სახით, გაეცნენ გადაუდებელი დახმარების ოპერატიული მართვის ცენტრის არსს და სამუშაო სპეციფიკას. ახალგაზრდებმა მიიღეს ინფორმაცია, თუ რა შემთხვევაში უნდა დარეკონ "112"-ზე, რა ინფორმაცია მიაწოდონ "112"-ის ოპერატორს, რას გულისხმობს გადაუდებელი შემთხვევა და როგორ უნდა იმოქმედონ აღნიშნულ სიტუაციაში.

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტური სერვის ცენტრი ყოველი ახალი სასწავლო წლის დასაწყისში, ატარებს გაცნობითი ხასიათის შეხვედრებს და აწვდის პირველკურსელებს საჭირო ინფორმაციას უნივერსიტეტისა, თუ სტუდენტობის პერიოდში საჭირო სხვადასხვა მომსახურებების შესახებ. აღნიშნული ღონისძიების ფარგლებში შსს-ს "112"-ის დეპარტამენტმა პირველად მიიღო მონაწილეობა.

ზოდიაქოები "112"-ში

ზოდიაქოს 12 ნიშნის ქვეშ დაბადებულებიდან, ზოგიერთი განსაკუთრებული შრომისმოყვარეობით გამოირჩევა. ნახეთ თქვენ რომელ კატეგორიას მიეკუთვნებით.

ვერძი

ენერგიული მუშაკი, რომელსაც ურჩევნია საკუთარი გზა გაიკვლიოს ყოველდღიურ საქმიანობაში. იჩენს ლიდერისთვის დამახასიათებელ თვისებებს, უკეთესად ავლენს თვისებებს უფროსის რანგში, ვიდრე ქვეშევრდომის, დამოუკიდებლია და რისკიანია.

კურო

ირჩევს კარგად ანაზღაურებად სამსახურს, კომფორტის და სტაბიულურობის შენარჩუნების მიზნით. როგორც მუშაკი მშვიდი და გულკეთილია, არ უყვარს, როცა უთითებენ რა უნდა აკეთოს. ცდილობს თავი აარიდოს პასუხისმგებლობას დაშვებულ შეცდომებზე. მიდრეკილია სიზარმაცისკენ.

ტყუპები

სამსახური მნიშვნელოვან ადგილს იკავებს მის ცხოვრებაში. მას შეუძლია ორ განსხვავებულ ადგილას მუშაობა განსხვავებული პროფესიების შეთავსებით. ტყუპისათვის მნიშვნელოვანია არ გადაიღალოს სამსახურში-წინააღმდეგ შემთხვევაში ძალზედ ნერვიული ხდება.

კირჩხიბი

კირჩხიბი თავითაა ჩაფლული საქმეში. მისთვის მთავარი მატერიალური სიმყარეა. ძალიან მგრძნობიარეა კრიტიკისადმი. კონსერვატულია, არ უყვარს ცვლილებები.

ლომი

მთელი გულით სამსახურშია, ზედმიწევნით გულმოდგინეა. აქვს კარგი ორგანიზატორული უნარი და სიახლეებისკენ სწრაფვა. დარწმუნებულია საკუთარ თავში. ასე რომ ძალზედ წარმატებულად შეუძლია სამსახურეობრივ კიბეზე წინსვლა.

ქალწული

მოითხოვს სიზუსტეს და აკურატულობას. ცდილობს ყველაფრის სრულყოფას. კარგი შემსრულებელი და გულმოდგინე თანამშრომელია. არ უყვარს წესების დარღვევა. სხვების

მიმართ გრაფიკის დარღვევას გაღიზიანებით ხვდება. აკრიტიკებს თანამშრომლებს უზუსტობების და უწესრიგობის გამო. მისი გრაფიკი რაციონალურადაა ორგანიზებული. შეუძლია შრომითი კოლექტივისთვის სტაბილური გარემოს შექმნა.

სასწორი

კარგად მუშაობს ჰარმონიულ კოლექტივში. ერიდება საპასუხისმგებლო გადაწყვეტილებების მიღებას. კარგად ეწყობა კოლექტივს და თუ კოლექტივში ანტაგონიზმი სუფევს, ავადმყოფურად რეაგირებს ამაზე. სჯერა სამართლიანი თამაშის წესების. სასწორი ყველაფერს აკეთებს, რომ მის ირგვლივ სიმშვიდე სუფევდეს.

მორიელი

რუტინულ სამსახურს ვერ იტანს. უყვარს ექსპერიმენტები, ცნობისმოყვარეა. უპირატესობას ანიჭებს აქტიურ, მრავალმხრივ საქმიანობას. ჭარბი ემოციურობა და გონებრივი ენერგიის დიდი დანახარჯები ართმევენ მას ძალას, ამიტომ ესაჭიროება რეგულარული დასვენება.

მშვილდოსანი

მისი სამუშაო ადგილი უნდა იყოს პრესტიჟული და აზრიანი, ამ შემთხვევაში მუშაობს დაუღალავად. ბუნებით ოპტიმისტია და იდეალიზმის დიდი დოზების მიუხედავად მისი ცხოვრება საკმაოდ გონივრულად და პრაქტიკულად არის ორგანიზებული.

თხის რქა

სამსახურში პედანტურია, მომთხოვნი. კარგი ხელმძღვანელი და ორგანიზატორია, შეუძლია შრომითი კოლექტივისთვის სტაბილური გარემოს შექმნა, გამოირჩევა მაღალი შრომისუნარიანობით, გამტანი ხასიათით. მიისწრაფვის კარგი მატერიალური ანაზღაურებისაკენ.

მერწყული

გამოირჩევა ორიგინალურობით, ცოტა ჯიუტია. ცდილობს დაუმეგობრდეს თანამშრომლებს. ადვილად ღიზიანდება, ნერვიულობს ყველაფერზე. არ უყვარს რუტინული სამსახური, ცდილობს სრულყოს სამსახურეობრივი პირობები და უყვარს კოლექტივში მუშაობა.

თევზები

როგორც სამსახურის მიმართ, ასევე ცხოვრების მიმართ რომანტიულად არის განწყობილი. ნერვიულობს უმნიშვნელო წვრილმანებზე. წარმატებულად იმუშავებდა საიდუმლო სამსახურში. თევზების შრომისუნარიანობა დამოკიდებულია მის განწყობაზე.

სტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობით “112“-ში მომუშავე პერსონალის ყველაზე მეტი თანამშრომელი სასწორის ნიშნის ქვეშ არის დაბადებული



სალომე სულთანიშვილი

შსს სსიპ "112"-ის ზარის მიმღები

შსს სსიპ - 112

ვაშლიჯვრისა და ნუცუბიძის
მიკრორაიონების დამაკავშირებელი
ავტობანი

ვებ-გვერდი WWW.112.GE
ელ-ფოსტა 112NEWS@112.GE